იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

ფასი:
წლიურათ . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . 4 აბაზი
ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 3 მანეთი და დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 10
წელიწადი მეორე
— 1913 —
შაბათი, 12 იანვარი

რედაქცია მოთავსებულია ქუთაისში, ივანოვის ქუჩაზე, ვ. ი. ჭილაძის სახლში, (ჭიათურის შავიქვის მრეწველთა საბჭოს პირდაპირ).

ტელეფონი № 149.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბა, მოსწიეთ პაპიროსი
„ანი"
15 ცალი 6 კ.
25 ცალი 2 შაურათ
აქციონ. საზოგ. თამბაქ. ქარხ. „მირი".

აბა, მოსწიეთ პაპიროსი
„ბელაია რომაშკა"
20 ცალი 1 შაურათ
20 ცალი 1 შაურათ
აქციონ. საზოგად. თამბ. ქარხ. „მირი".

მიიღება ხელისმოწერა 1913 წლისათვის ყოველდღიურ გაზეთზე.

წელიწადი მეორე
1913

იმერეთი

წელიწადი მეორე
1913

გაზეთის ფასი:
ერთი წლით . . 7 მანეთი,
ნახევარი წლით . . 4 მანეთი,
ერთი თვით . . 4 აბაზი
და ცალკე ნუმრის . . 1 შაური.

წლიურ ხელისმომწერლებს შეუძლიათ გაზეთის ფასი ამნაირათ გადაიხადონ: ხელისმოწერის დროს სამი მანეთი, პირველ მაისს ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც ორი მანეთი.

მოსწავლეებს, სათვისტომოებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთი წლიურათ ეთმობათ ოთხ მანეთად, ხოლო ნოქრებსა და სოფლის მასწავლებლებს—ხუთ მანეთად. თვიურათ გაზეთი ამავე პირთათვის ღირს სამ აბაზათ. მისამართის გამოცვლა ღირს ათ შაურათ. მისამართის გამოცვლის დროს უნდა ნაჩვენები იყოს სრულათ ის მისამართი, რომლითაც ღებულობდა გაზეთს და აგრეთვე სწორათ ახალი მისამართიც; სხვანაირათ მისამართის გამოცვლა არ შეიძლება.

საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 14 მანეთად, ნახევარი წლით 8 მან. და თვიურათ 6 აბაზათ.

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა ყველასათვის—სამ მანეთად.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით პწკარი ღირს 3 შაურათ, მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით და გარეშე ცნობები ჩვეულებრივი ასოებით დაბეჭდილი თითო პწკარი თითო აბაზათ. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.

გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოთ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ, редакція и контора газеты „ИМЕРЕТИ",
სხვანაირათ გამოგზავნილ ფულსა და ანგარიშებს რედაქცია თავის დროზე ვერ მიიღებს. Антону Михайловичу Желадзэ.

სიმონ ალექსის ძე აბულაძე შვილებითურთ, კირილე ლაზარეს ძე ოდიშარია ცოლშვილითურთ, კალენიკე ალექსანდრეს ძე საყვარელიძე მეუღლითურთ და სოლომონ მერაბის ძე კიკიანი ცოლშვილითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი საყვარელი მეუღლის, მეორე დის, მესამე ცოლის დის და მეოთხე რძლის

მატრონე ლაზარეს ასულის

ხანგძლივი ავათმყოფობის შემდეგ გადაცვალებას, დაკრძალვა დანიშნულია 13 იანვარს, დღით კვირას, ნაშუადღევის $2\frac{1}{2}$ საათზე. კაზაკოვის ქუჩიდან (საკუთარი სახლი) ცხედარი გასვენებული იქნება საფიჩხიის სასაფლაოზე. პანაშვიდები ყოველდღე საღამოს 5 საათზე.

თომა სიმონის ძე, ელენე პავლეს ასული და მიხეილ თომას ძე სვანიძეები, მარიამ ლევანის ასული, ლეოლინი, იოსებ, მელანია და ბიქტორ სანაიები, ჰოჰიკო და ანეტა ვარდოსანიძენი, ვლადიმერ და ვარლამ რუხაძენი გულითადის მწუხარებით გაუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთ ტრაგიკულათ გადაცვალებასა ბელოგორის ბოქაულის თანაშემწის

ყორყიკა თომას ძის სვანიძისას

და სთხოვენ მობრძანდენ და დაესწრონ მიცვალებულის გამოსვენებას ამა იანვრის 13 რიცხვს, დღით კვირას, ნაშუადღევის 3 საათზე, მეორე ალექსანდროვის ქუჩაზე, საკუთარ სახლში. პანაშვიდი ნაშუადღევის 5 საათზე.

კატო მიხეილის ასული, გიორგი და ვუკულე მიხეილის ძენი პერიძენი, ანტონ და ბიძიკო პავლეს ძენი ანჯაფარიძენი გულითად მადლობას უძღვნით ყველას, ვინც წერილობით ან პირადათ გვანუგეშა—პირველნი ძვირფასი დედის, ხოლო უკანასკნელნი დაუვიწყარი დის

ქრისტინეს

გადაცვალების გამო.

16 იანვარს, ქალაქის თეატრში, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სასარგებლოთ პრივატ-დოცენტი

ივ. ალ. ჯავახიშვილი წაიკითხავს

ლექციას

ძველი ქართული ხელოვნების ისტორია.

ლექციის პროგრამა: 1) ქართული ხელოვნების წყაროები და ნაშთები; 2) ხელოვნებათა დარგები ძველ ქართულ მწერლობაში 3) საეკლესიო და საერო ხუროთმოძღვრება (ტაძარ მონასტრები, სასახლეები, კოშკები, ციხეები და სხვ.) 4) ქანდაკება, ხის ჩუქურთმა და ორნამენტაცია; 5) მხატვრობა, საეკლესიო მხატვრობა და მინიატურები, სამინანქრო ხელოვნება; 7) ქსოვილები და ტანისამოსი, ისტორია ტანისამოსისა, თავის მორთულობისა, იარაღისა და სამკაულისა ძველ საქართველოში; 8) ქართული ხელოვნების განვითარების საზოგადო მიმოხილვა. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში

ქუთაისის მოვაჭრეთა საყურადღებოთ.

თეატრ რადიუმში

1 იანვრიდან 1913 წ.
იყიდება ადგილები
სცენის ფარდაზე
განცხადებების და რეკლამებისათვის.

მსურველთ შეუძლიათ მიმართონ თეატრ რადიუმის დირექციას, ყოველდღე საღამოს 7 საათიდან.

ქართული თეატრი.

შაბათს, 12 ინვარს ქალაქის თეატრში წარმოდგენილი იქნება.

ნაპოლეონი და ჟოზეფინა.

4 მოქ. პიესა ალ. მესხიშვილის თარგმ.
რეჟისორი მ. ქორელი
დასაწყისი საღამო 8 საათზე. —◆— ადმინისტრატორი ვ. ურუშაძე.
დგილების ფასი ჩვეულებრივია.

ШАМПАНСКОЕ
„Царица Тамара"
Ф. ЧЕЛИДЗЕ КУТАИС

ფილიპე ნ. ჭელიძის
შამპანიურ
„თამარ მეფე" და
„კოლხიდა"


ОТЪ МИНИСТЕРСТВА ЗЕМЛЕДѢЛІЯ И ГОСУДАРСТВЕННЫХЪ ИМУЩЕСТВЪ
ЗА СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННЫЯ ПРОИЗВЕДЕНІЯ

ოქროს მედალი

სამკურნალო და სუფრის ღვინოები.

ფირმა დაჯილდოებულია სხვადასხვა გამოფენაზე 1 ოქროსა და ხუთი ვერცხლის მედლით. ღვინოები მზადდება სპეციალურათ ამ მიზნისთვის მოწყობილ სარდაფში მეღვინე სპეციალისტის მეთვალყურეობით.

ვინც დაიკვეთს არა ნაკლებ 20 ბოთლისა
ქუთაისში მიტანას ფირმა კისრულობს

ფირმას აგრეთვე აქვს განსაკუთრებულათ დამზადებული ძველი ღვინოები, შორეულ ქვეყნებში გასაგზავნათ.

პრეისკურანტი მთხოვნელებისათვის იგზავნება უფასოთ.

მისამართი: ქუთაისი, ფილიპე ნ. ჭელიძე. მიილის ქ. საკუთარი სახლი, № 48.

გამოცდილი **მასწავლებლები**

ამზადებენ ბავშებს ხელმისაწდომ ფასათ და ბეჯითად. შეუძლიათ მოამზადონ ყველა საშვალო სასწავლებლის დაბალ კლასისთვის, აგრეთვე სასულიერო და სამოქალაქო სასწავლებლის ყველა კლასისთვის. გაკვეთილებს უსწორებენ სწავლაში სუსტებს და ჩამორჩენილებს ახალი მეთოდით. საცადი გაკვეთილები უფასოთ.

მისამართი **„იმერეთის" რედაქციაში.**

ქალის **აქიმი** ა. დ. აბაშიძის ასული ჭიჭინაძისა იღებს ავათმყოფებს დილის 9—2 საათამდი და საღამოს 5—7 საათამდი, თფილისის ქ. ინჯიას ახლო.

ბებია ქალი

ო. დონდუას ასული

აქიმ კაკიტელაშვილთან ერთად იღებს თავის საკუთარ ბინაზე მშობიარე დედათ მოსალოგინებლათ. ფასი მორიგებით.

პუშკინის ქუჩაზე ვიტუშინსკის აფთიაქის პირდაპირ.

აქიმი ი. ჩარექოვი.

იღებს მხოლოდ და განსაკუთრებით კანის, ვენერიულსა და სიფილისიან ავათმყოფებს. დილის 12 საათ. 2-დი; საღამოს 5—7.

ილია ჭავჭავაძის ქ. აბულაძის შესახვევი იოსელიანის სახლი.

აქიმი ჯაფარიძე იღებს შინაგანის, ბავშების, აგრეთვე: ყელის, ცხვირის და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. თფილისის ქუჩა სახლი ნიჟარაძისა.

აქიმი ვ. ი. ფეშინი ქირურგიული და საშარდე სნეულება ყოველდღე 12—2 და 4—6 საათამდი. გოსპიტლის ქ. გვახარიას სახლი.

აქიმი. ვ. დ. ნასარიძე და მისი და ე. დ. ნასარიძის ასული გადვიდენ ახალ ბინაზე, იქვე ძველი ბინის პირდაპირ რ. ს. ეზიკოვის სახლში.

დღიური

— ათონი დამოუკიდებელ რესპუბლიკათ გამოცხადდება, რუსეთის პროტექტორატის ქვეშ.

— პორტა ადრიანოპოლის დათმობაზე კატეგორიულ უარს აცხადებს.

— რუსეთის საზღვარზე ავსტრია სამხედრო სურსათს იმარაგებს.

— ბულგარეთის მეფე ჯარს ათვალიერებს და ამხნევებს.

— ბულგარეთში დიდი საომარი მზადებაა. ჯარის უფროსებსა და მინისტრებს კრებები ხშირათ აქვთ.

— სტამბოლში ხალხი აღელვებულია. ქურთებმა ყაზარმებში მოიყარეს თავი, გამოდის ფურცლები, სადაც ხალხს საომრათ მოუწოდებენ.

— ავსტრიაში დარწმუნებული არიან ოსმალეთი ადრიანოპოლს არ დასთმობს და ომი განახლდება.

— ნ. გუჩკოვმა მოსკოვის ქალაქის მოურავობას თავი დაანება.

— ცარიცინში ცრუ ილიოდორე გამოცხადდა; იგი დაპატიმრეს.

— რიგაში „პროვოდნიკის“ ამხანაგობის 9000 მუშის გაფიცვა დამარცხებით დასრულდა. მუშებმა მუშაობა ძველ პირობებში დაიწყეს.

— ადესაში შავი ჭირი ძლიერდება. 5 იანვარს რამდენიმე კაცი კიდევ გახდა ავათ.

— ილიოდორეს პოლიცია დაეძებს.

— ეკატერინოსლავის ციხიდან არჩევნების დროს დაპატიმრებული გაათავისუფლეს.

— გერმანიის იმპერატორის შვილი პრინცი ალბერტი ანთებით ავთ გახდა.

— რომანოვების გვარეულობის 300 წ. იუბილეს აღსანიშნავათ ციმბირის ოსტიაკებმა და სამოედებმა ტობოლის სასწავლებლების სასარგებლოთ 5000 მანეთი გადასდვეს.

— რუსეთის ხელმწიფის წინაშე მონგოლეთის საგანგებო მისია წარსდგა და მონგოლეთის დამოუკიდებლათ გამოცხადებისათვის მადლობა მოახსენა.

ახალი ამბავი.

პრივატ-დოცენტი ივ. ჯავახიშვილი თავის საგულისხმო ლექციას ძველი ქართული ხელოვნების ისტორიიდან ამ თვის 16-ს, ოთხშაბათს წაიკითხავს ქუთაისის ქალაქის თეატრში. ესვე ლექცია გუშინ პარასკევს თფილისში უნდა წაეკითხა პატივცემულ პრივატ-დოცენტს. ჯერ ცნობა არ მოუტანია თფილისის გაზეთებს ამ ლექციის თაობაზე, მაგრამ სახელი, შრომის მოყვარეობა, და ნაშრომიც ივ. ჯავახიშვილისა იმის თავდებია, რომ ეს ლექცია ფრიად საყურადღებო იქნებოდა და თვით საგანიც ლექციისა ჯერ უცნობია ჩვენი საზოგადოებისათვის.

✦ დღეს ქუთაისის საკრებულოს დარბაზში ტრადიციული (ტატიანას დღე) საღამო გაიმართება ღარიბი სტუდენტების სასარგებლოთ. საღამოში მონაწილეობას იღებს სხვათა შორის კლავესინზე დამკვრელი ცნობილი ვანდა ლანდლავსკას ქალი. საღამოს დიასახლისობს ე. ნ. ხეჩინოვისა. ეს საღამო ადრეც დიდს საზოგადოებას იზიდავდა და წელსაც იმედია საზოგადოება თავის წვლილს არ დაიშურებს დიდი საქმისათვის.

✦ ქუთ. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობას გადაწყვეტილი აქვს რუსის მწერლის ნეკრასოვის გადაცვალების დღიდან 35 წლის თავი აღნიშნოს და თავის აუდიტორიას ამ მგოსანი მოქალაქის თაობაზე ლექცია გამართოს.

✦ სამრევლო შკოლების მეთვალყურე ავერკიევი თფილისიდან დაბრუნდა და სამრევლო შკოლების სარევიზიოთ გაემგზავრა.

✦ აბრეშუმის თესლი უკვე შემოდის ქუთაისში და პარტიობით ყიდულობენ ვაჭრები. საჭიროა თვალყური, რომ ცუდი თესლის მოწოდებით სოფელი შარშანდელივით განსაცდელში არ ჩავარდეს.

✦ რედაქციამ მიიღო ბ. პ. საკაშვილის მიერ შედგენილი წიგნაკი:—„ვაჭარი და კარტის თამაში“.

✦ შავიქვის მრეწველთა საბჭოს მორიგი სხდომა ექნება იანვრის 22-ს ჭიათურაში.

✦ დეკემბრის განმძვლობაში ფოთის ნავსადგურიდან გატანილა 3,077,060 ფუთი შავი ქვა.

✦ დეკემბრის განმავლობაში საერთოდ გაზიდულია ჭიათურიდან 5,581,700 ფუთი შავი ქვა.

✦ ჭიათურის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა შავიქვის მრეწველთა საბჭოს სთხოვს გაუგზავნოს 100 მანეთი, ვინაიდან გამგეობა ამ ჟამათ უსახსრო მდგომარეობაშია.

✦ მოსკოვის სამეურნეო ინსტიტუტის ექსკურსია ქ. თფილისიდან შალვა ხუნდაძის ხელმძღვანელობით დაბრუნდება უკან 14 იანვარს, ღამით 11 საათზე მეოთხე ნუმერი მატარებლით.

გზის ფული 5 მ. მიიღება 12 იანვრამდი შემდეგი ადრესით: არქიელის გორა, საკუთარი სახლი შ. რ. ხუნდაძე.

✦ თფილისის სამოსამართლო პალატა მილიონერი ტაგიევის პრინც მანსურის და სხვ. აპელაციური საჩივრის განხილვას შეუდგა; ამათ ინჟინერი ბებუთოვის დასახიჩრება ბრალდებათ. ბრალდებულებს სხვათა შორის იცავს სახელმწიფო სათათბიროს წევრი ზამისლოვსკი, პეტერბურგის ვექილი კაზარინოვი და სხვ.

მოწერილი ამბავი.

ჭიათურა.

7 იანვარს საღამოს 5 საათზე ჭიათურაში გაასვენეს შავი ქვის მრეწველთა საბჭოს ტეხნიკური განყოფილებაში მოსამსახურის მელიტონ ჩიქოვანის ცხედარი. განსვენებული 15 წელიწადი პატიოსნათ და სინდისიერათ ემსახურა საბჭოს და საზოგადოებას, რითაც დამსახურებული ქონდა ყველას პატივის ცემა და სიყვარული. მიცვალებულის გამოსვენებას დიდ-ძალი საზოგადოება დაესწრო. ცხედარს ამკობდა გვირგვინები, თვით საბჭოსაგან, თან მოსამსახურეებისა და საზოგადოებისაგანაც. ტეხნიკურ კანტორის განყოფილებაში პანაშვიდს შემდეგ რკ. გზ. სადგურზე და იქიდან სამშობლოში წაიღეს. სადგურზე სიტყვები წარმოსთქვეს მამა ბარათაშვილმა და ბესარიონ ვაშაძემ.

დ. ცაგერი (ლეჩხუმი).

2 იანვარს აქაურმა მაზრის უფროსმა გამართა შობის ხე და მიიპატიჟა ოჯახობით ზოგიერთი აქაური მცხოვრები. მასპინძლობა უხვი იყო, ბავშვები საჩუქრებმა გაამხიარულა და დიდებიც ნასიამოვნები დარჩენ, რომ ბოლოს ორ მეტიჩარას, არა მკითხეს არ ჩაეშხამებია და საერთოთ მხიარულებისთვის მოწყენის ელფერი არ მიეცა. ეს ორი მეტიჩარა გამოვიდა და საზოგადოებისთვის გაუგებარ რუსულ ენაზე დაიწყო ორივემ ქადაგება, მარა მათი დარიგება შეკრებილი საზოგადოების მეათედმა ნაწილმა ვერ გაიგო.

სოფ. ხეთა (ოდიში).

შობის წინა დღეს აქ თავი ჩამოიხრჩო ადგილობრივმა აზნაურმა ალექსანდრე კობახიძემ. ადრე განსვენებული ვაჭრობდა დ. ხობში და შეძლებულ კაცათაც ითვლებოდა. ამ რამდენიმე წლის წინათ ვაჭრობის საქმე ცუდათ წაუვიდა და თანდათან დაღარიბდა. საშობაოთ, როგორც ჩვეულებაა, უნდა მოწყობილიყო ღვინით პურით და სხვა სანოვაგით, მაგრამ მას სამსახური არ მოეძეობოდა. წავიდა ხობს და ნაცნობებს ათი მანეთი დაესესხა, მაგრამ ვერც ფული იშოვა და ვერც სანოვაგე. ცოლ-შვილი შინ ელოდებოდა, მაგრამ გათენებამდი ალექსანდრე არსად სჩანდა. როცა გათენდა, ცოლი გარეთ გამოვიდა, დაინახა, რომ სამზარეულოს კარებთან მისი ქმარი აყუდებულიყო. ახლოს რო მივიდა, გამოირკვა, რომ ბაწრით თავი ჩამოეხრჩო; იქვე ახლოს კიბე იყო მიყუდებული, რომელზეც ჩამოიკიდა თავი; კიბე დაბალი იყო და მაზე თავის ჩამოხრჩობა შეუძლებელი იყო, მაგრამ დაკვირებიდან აღმოჩნდა, რომ ფეხები მოუკეცია და თავი ისე ჩამოუხრჩვია. ამბობენ, განსვენებული მეტათ პატიოსანი, და უწყინარი კაცი იყოო.

ხორგა (ოდიში).

ამ სოფელში არსებობს ორკლასიანი შკოლა. შკოლაში ორივე სქესის მოწაფეები სწავლობენ. სოფელი კულტურული დაწესებულებით არ არის ღარიბი. არსებობს წვრილი კრედიტის საზოგადოებაც. წვრილი კრედიტის საზოგადოებას ოთხასამდი წევრი ყავს. სახელმწიფო ბანკიდან გახსნილი აქვს 3000 მანეთის გძელ ვადიანი, და 3000 მანეთის მოკლე ვადიანი კრედიტი. ამხანაგობას განზრახვა აქვს ხორგა—ზუგდიდისა და ხორგა-სენაკს შუა დილიჟანების მიმოსვლა მოაწყოს. განზრახული აქვს საზოგადო ფურნის გახსნაც. გზები ძლიერ ცუდია, ზამთირობით უგზოობის გამო ბავშვებს უჭირთ შკოლაში მისვლა.

ს. შორაპანი (ზემო იმერეთი).

6 ამ თვეს აქ აკურთხეს ახლად გახსნილი რკინის გზის სამკითხველო. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ სამკითხველოში ხალხი ბლომათ დადის. სამკითხველოს გამოწერილი აქვს „სახალხო გაზეთი „.იმერეთი“ და „თემი“. გამგეობამ უნდა იზრუნოს ქართული სხვა ჟურნალ გაზეთების გამოწერაზეც, რომ თავის დანიშნულება სავსებით აასრულოს.

რატომ და როგორ გამაშავა ნ. ნიკოლაძემ ფოთში.

დაუწერელი დღიურიდან.

ვუძღვნი იაკობ ფანცხავას.

(იხ. „იმერეთი“ მე-9 №).

[illegible] დეკ. 1911.

დღეს საღამოს ქალაქის გამგეობაში მომავალი წლის ხარჯაღრიცხვის შესახებ გვქონდა შეერთებული სხდომა ქალაქის გამგეობის წევრთა და ფინანსთა და სარევიზიო კომისიების.*)

ცოტა რომ წავიმუშავეთ, ნიკოლაძემ ჩვეულებრივათ განზე გადაახვევინა კომისიებს. იმან მოითხოვა მიგვეცა მისთვის ხვალ, 31 დეკემბერს, 8 ათასი მანეთი. ამ საგანზე სხდომაში გაიმართა ამგვარი ლაპარაკი.

ნიკოლაძე. მე ამ წელში ჩვენი პორტის საქმეების გამო დიდხანს ვიყავი პეტერბურგს და ბევრი ხარჯი გავსწიე. ფოთის საურთიერთო ნდობის 8 ათასი მანეთი ვალი მმართებს, რომელიც ხვალ უნდა გადავიხადო და ვითხოვ ეს ფული ხვალვე მომეცეს გამგეობისაგან.

კომისიის წევრები. კარგი, ბატონო, გამგეობა მოგართმევთ მაგ ფულებს.

მე. როგორ შემიძლია ქალაქის კასიდან 8 ათასი მანეთი ავიღო და თქვენ მოვცეთ გარეშე ქალაქის სათათბიროს გადაწყვეტილებისა და გუბერნატორის დასტურისა. თქვენ პეტერბურგში სათათბიროს არ გაუგზავნიხართ ქალაქის საქმისთვის, თქვენ თქვენი კერძო საქმისთვის იყავით. გუბერნატორის ბძანებაა დაბეჭდილი „გუბერნიის უწყებაში“ თქვენს დათხოვნაზე, არ ვიცი, შინაურ საქმეთა გამო, არ ვიცი, ავათმყოფობის გამო.

ნიკოლაძე. ქალაქის საქმეს არ ეძახით თქვენ პორტის აშენების რევიზიას?

მე. სადაური რევიზია? რევიზიის მოხდენა როგორ შეეძლო ნეიდგარდს, რომელსაც არც ჩვენი ბუგალტერიის წიგნები ქონდა, არც კასისა და არც შემოსავალ-გასავლის ორდერები. ყოველ შემთხვევაში ფულის მიმცემი არა ვარ გარეშე ქალაქის სათათბიროს დადგენილებისა.

კომისიის წევრები და გამგეობის წევრი ურუშაძე. ეს 8 ათასი მანეთი ხვალ მივცეთ და მერე სათათბიროს მოვახსენოთ.

მე. არა, ჯერ სათათბიროს მოვახსენოთ და მერე ფული მივცეთ.

ნიკოლაძე. ფოთის ვაჭრობისა და მრეწველობისთვის სულ ერთი არ არის, ხვალ იქნება შეტანილი 8 ათასი მანეთი თუ ორ კვირას შემდეგ. პირველი იანვრის ბალანსი დიდმნიშვნელოვანია საურთიერთო ნდობის საზოგადოებისთვის.

მე. თქვენ საურთიერთო ბანკის საქმეებისთვის ზრუნავთ და ქალაქის საქმეების კანონიერათ წაყვანა არად მიგაჩნიათ? ეს ერთი, და მეორე რატომ უნდა მოვცეს 8 ათასი მანეთი და არა მეტი, არა ნაკლები. გასულ წელში თქვენ 126 დღე იყავით თქვენ საქმისთვის პეტერბურგს. ამ ხნის განმავლობაში თქვენ ქალაქისგან რომ ყოფილიყავით გაგზავნილი, სათათბიროსგან გაჩენილი დღიური ფული გერგებოდათ 2520 მანეთი და არა 8 ათასი მანეთი.

კომისიის წევრები. დაწარჩენი მომავალი საქმეებისთვის „კამანდიროვკის“ ანგარიშში მიეცით.

მე. არა, არ შემიძლია. ნიკოლაძე თითონ ქალაქის მოურავია, რაკი თქვენ აქ მყოფი ხმოსნები თანახმა ხართ თითონ აიღოს კასიდან ეს ფული და თვისი ხელწერილი დასდვას კასაში

ნიკოლაძე. არა, მე ეგ არ შემიძლია.

მე. მაშ, ბრიყვი მე მნახეთ? არც მე შემიძლია ფულის მოცემა.

და ფულები არ მივეცი.

inde irae.

31 დეკ. 1911.

გუშინ საღამოს, როცა ნიკოლაძეს რვა ათას მანეთზე უარი ვუთხარი, ფოთის თვითმპყრობელმა ლაპარაკში გამიტარა: თუ ჩვენ ერთმანეთს არ ვუჯერებთ, ერთად სამსახურიც არ შეგვიძლიაო. ესე იგი, მდაბიოთ რომ ვსთქვათ, გზიდან გამეცალეო.

ამ დილას საურთიერთო ნდობის თავჯდომარემ ბ. კეშელავამ, რომელიც იმავე დროს ქალაქის საფინანსო კომისიის თავჯდომარე არის და ბ. ანდრი ჟვანიამ იმავე ბანკის დირექტორმა და ქალაქის საფინანსო კომისიის წევრმა ხმოსანი მიხა ესაკია მომიგზავნეს და მთხოვეს გამეგზავნა მათთვის 8 ათასი მანეთის ჩეკი ნიკოლაძის ვალის დასაფარავათ, მაგრამ მე უარი შევუთვალე.

უეჭველია, ჩემის ურჩობით და ჯიუტობით ნიკოლაძე ჰანიბალის ფიცსა სდებს ამ დილას ჩემ წინააღმდეგ. 16 წელიწადია მისი ნების წინააღმდეგ სვლა ფოთში არავის გაუბედია და ვიცი ჩემს თავხედობას არ მაპატიებს ალბათ ახლა ის იმეორებს რუსთაველის სიტყვებს

ცოცხალი ვიყო შენ ინდოეთს, ღმერთო, ხანი ვეღარ დაჰყო

და აწყობს პლანს როდის და რაგვარათ შური იძიოს ჩემზე.

31 მაისი, 1912.

ამ უკანასკნელს კვირაში დიდი მითქმა-მოთქმა იყო ატეხილი გიმნაზიის შენობის გაცემის თაობაზე.

იერიში გამგეობაზე მოიტანეს.

ვიფიქრე: პირში არ მეუბნებიან ეს ულმერთოები, თვარა ესენი სწორეთ რაღაცას მეწამებიან მეთქი და დღევანდელ ხმოსანთა კრებაზე ნდობის გამოცხადება მოვითხოვე სათათბიროსაგან. „არა, თქვენ რა შუაში ხართ, ჩვენ დარწმუნებული ვართ თქვენ პატიოსნებაზე და რიგიან საქციელზეო“, მიპასუხეს ხმოსნებმა, მაგრამ ეს არ ვიკმარე და მოვითხოვე, რომ იგივე ეთქვათ ჩემთვის ფარულის კენჭით. კენჭი ყარეს და ამომივიდა 21 თეთრი და არც ერთი შავი.

მაშინ დავრწმუნდი, რომ ქალაქის სათათბიროს ჩემ წინააღმდეგ არა ქონია რა, რომ ქონოდა, შემთხვევით ისარგებლებდა და შავს მომაყრიდა.

ან რას მერჩიან? მართალია, ფოთის სლევატორი მე არ ამიშენებია, მაგრამ ქალაქის ერთგული მოსამსახურე ხომ ყოველთვის ვიყავი. ნიკოლაძე სანახევროთ პეტერბურგში იყო, ცოლ-შვილში, და მე აქ მის მაგიერ ჯაფას ვეწეოდი. ოთხი წლის განმავლობაში იმას პეტერბურგში უცხოვრია 733 დღე და დღეში 20 მანეთი მიული ფოთის კასიდან.

უნებლიეთ მაგონდება აქ ის, რაც მითხრა ნიკოლაძემ 1891 წელს, როცა პირველათ თფილისიდან ფოთს მოვდიოდი ქალაქის მოურავის მოადგილეთ:

— Потійскій городской голова долженъ получать 20 т. рублей и жить въ Петербургѣ.

შემდეგში თითონ ნიკოლაძემ სავსებით განახორციელა ეს თვისი წინასწარმეტყველება, მხოლოდ ძეგვის დედაკაცს არა სჯერა, რომ 20 ათასი მანათი ყოფნოდა იმას პეტერბურგში ცხოვრების დრ

7 ოქტ. 1912.

დღეს გამითავდა სამსახურის ვადა. გუბერნატორს უკვე მოვახსენე, რომ ოქტომბრისთვის ახალი არჩევანი და დანიშნული. ნიკოლაძეს დიდხანს მოუ გების დრო, რომელსაც ის ასე მოუთ ნელად ელოდა წასული წლის 30 დ კემბრიდან.

დღეს სადილათ ვიყავით მიწვეუ თადეოზ კეშელავასთან, ნიკოლაძე—მ ბერიძე—ტიკარსკიანათ და იქ შევიტ გიორგი საბახტარიშვილისგან, რომ კოლაძეს უკვე გაუხსნია საარჩევნო და. მე არა მკითხა ისე დაუნიშნავს ჩევანიო (ვითომ და რათ უნდა მეკი მისთვის), ახლა ქალაქის მოურავის მო გილის არჩევანი კი არა თვით მოურ არჩევანი არისო (რატომ, ვითომ? ქა ქის თავი თითონ ის არის, თუმცა გ ყენებულია სამსახურიდან და თუ ა იმას ამბობს, რომ ახლა მისმა მოად ლემ მის მაგიერათაც უნდა იმუშაოს, ხომ არ ახალია, ძველია). იონა და ბევრში არა ვართ ერთმანეთის თანახ და ეს ქალაქის საქმეებს აბრკოლებ და სხვა ამგვარები. ამ საგანზე იმას რ დენიმე ხმოსნებისთვის კიდეც ულაპა კია.

ერი ჰაა, საარჩევნო ბრძოლა უკვე დეც გაუჩაღხავს ნიკოლაძეს. მოცლ კაცს საქმე უშოვნია.

ი. მეუნარგია.

(კვირამდე).

ფიქრის მორევში.

კარგათ არ მახსოვს—წავიკითხე სად თუ გავიგონე, რო პრესას საზოგად დაქვეითება ემჩნევა, კილო მართებუ მწერლებს დაეკარგათ, გულწრფელი გები, გულის ნადების კარგს, საკად ფორმაში, ღირსეული სახით გამოთ აიკვეცაო. არ მახსოვ-მეთქი—წავიკი თუ გავიგონე. ხოლო ის კი მახსოვს, რ ამის დამწერი, თუ მთქმელი ჩვენებუ იყო და მისი ნათქვამი და ნაწერი ჩ პრესას შეეხებოდა.

სიტყვისა და წერის „თავისუფლებ გან“ ეგ „თავისუფლება“-ღა შეგვრჩა.

რაღაც უცნაური ბოლმა მოგვწოლ როცა „თავისუფლებამ“ წერისა ს სიტყვისამ ნამდვილი „თავისუფლე აგვიკვეცა იმათი და იმ საქმის კრ კილვისა, ვინცა და რაც ამის ღირს შინაურობაში დავტრიალდით, ოჯახში ისეთი სიტყვითა თუ წერით ვუმასპინძ დებით ერთმანეთს. რომ...

გაჩნდა ქუჩის ბიჭების ქუჩური ლი რატურა, აიკვეცა ყოველი მართებუ ბა, აშენდა ბაბილონის გოდოლი...

მტერი კი გამდგარა განზე და ხარხ რებს გულიანათ, როცა ასე უდიერ იტანჯება კალამი, იხარჯება მელნ წამებაშია ქაღალდი.

აბა, ვინ დაგსჯის იმისთვის, რომ მთელ ჯგუფს შენის მოპირდაპირებისას ჯა შები უწოდო! სთქვა და დასწერო მოპი დაპირეებზე და მათ ორგანოზე—აყ ლებული არიანო! (ბოდიშს ვიხდი.) ას ეპიტეტებს ხმარობენ უმწიკვლო ჩი მერცხლის მწიკვლიანი მწერლები ამათ ბანაკიდან გამოსული ქუჩური ო განოები.

დიახ, მტერი ხარხარებს და ამ საც დავებსაც ეგ ახარებს.

დ.

ჩვენებური სასამართლო.

პეტერბურგის ახალს იურიდიულ ჟურ ნალ „ზაკონ ი ჟიზნ“-ში, სადაც თანა შრომლობენ ადვოკატურისა და მაგის ტრატურის საუკეთესო წარმომადგენლ ნი, მოთავსებულია ფრიად საინტერეს წერილი „სასამართლოს მიმოხილვა“. ფაქ ტი, რომელზეც მსურს ვიბაასო, იმ დენათ საგულისხმოა, არაჩვეულებრივი, იმ დენათ მკაცრათ ხვდება გონებასა და ნერ ვებს, რომ იძულებული ვარ დავარღვიო ჩემი წერილების რიგიო, ამბობს გ. კო მეცკი, წერილის ავტორი.

ამ მოკლე ხანში სენატის უმაღლეს დისციპლინარულ საკრებულოში მოისმი ნეს თფილისის სასამართლოს პალატ თავჯდომარის ლოგოდას რაპორტი. ლო გოდა ითხოვს განჯის ოლქის სასამართ ლოს თავჯდომარის ივანოვის შესახებ დისციპლინარული გამოძიების დანიშვნას. ივანოვს ლაგოდა აბრალებს წინასწარ მოფიქრებულ ცრუ მოხსენებას, ეს ას

---

*) სარევიზიო კომისიის თავჯდომარე აქიმი გამბაროვი ამ ქებას არ დასწრებია.

ი. მ.

იყო. სასამართლო სამსახურის კანდიდატი მალკოვსკი არ გამოცხადდა დროზე სამსახურში და თან ივანოვს აცნობა დეპეშით ავათ ვარ და ამის შესახებ აქიმის მოწმობას გამოვგზავნიო. ივანოვმა წესისამებრ ეს ლაგოდას აცნობა, უკანასკნელმა ივანოვი დისციპლინარულ სამართალში მისცა მალკოვსკის დეპეშის მეორე ნაწილის ვითომც და განზრახ დაფარვისათვის და თვით მაკლაკოვსკი კი სამსახურიდან დაითხოვა.

სენატის უმაღლეს დისციპლინარულმა საკრებულომ ვერ ნახა ივანოვის მოქმედებაში სულ უბრალო გადახვევაც კი კანონის. ამასთანავე სენატმა აღიარა, რომ ლაგოდას არ ქონდა უფლება და საკმაო მიზეზი მალკოვის დათხოვნისთვის, ლაგოდას მოქმედებაში სენატმა უფლების გადაჭარბება დაინახა და დაადგინა მას ამის შესახებ პასუხი მოეთხოვოს.

ამავე საკრებულოში სენატმა მოისმინა იმავე ლაგოდას რაპორტი კავკავის ოლქის სასამართლოს თავჯდომარის ამხანაგის მღვდლიევის უკანონო მოქმედების შესახებ. ამ საქმეზეც ობერ-პროკურორი აღიარებს, რომ უკანონოა არა მღვდლიევის მოქმედება, არამედ, თვით ლაგოდასი. აღმოჩნდა რომ ეს საჩივარი მღვდლიევზე მეექვსეა, და დანარჩენი ხუთიც ასევე უსაფუძლოთ იცნო სენატმა.

სენატმა მიიღო რა მხედველობაში, რომ ლაგოდას საჩივრებმა მღვდლიევის შესახებ სისტემატიური ხასიათი მიიღო, რაც უნდა ჩაითვალოს ძლიერ არასასურველათ და მავნებლათ, დაადგინა გააფთხილოს ლაგოდა, რომ უკანასკნელი სამსახურში უფრო მშვიდობიანათ მოიქცეს. თავისებურია სენატის ლოგიკაც, განაგრძობს ბ. კობეცკი, მხოლოდ მეექვსე უსაფუძლო და მიდგომილობით გამსჭვალული საჩივარით იწყება არამშვიდობიანი მოქმედება მსაჯულისა ხუთი უსაფუძვლო საჩივარი კი ერთსა და იმავე პირზე სრულებით თურმე არ ეწინააღმდეგება მოსამართლის სიმშვიდეს.

ამას შემდეგ წერილის ავტორი იგონებს კავკასიაში მოგზაურობის დროს გაგონილ ამბებს კავკასიის სასამართლოს [illegible], ჯერ გზაში ჩვენს კუპეში ბევრი რამ მიამბეს კავკასიის იუსტიციის შესახებო.

გვიამბეს ვიღაც ოსის შესახებ, რომელსაც დიდი ხნის კატორღა მიუსაჯეს მეზობლის მოკვლისათვის. უკანასკნელი კი არამც თუ ცოცხალი და ჯანმთელია, არამედ საქმის გარჩევის წინა დღეებში თვით გამოცხადდა პოლიციაში და განაცხადა, რომ ის არავის არ მოუკლავს და არც არავის განუზრახავს მისი სიკვდილიო; ბევრი რამ გვიამბეს თარჯიმანების შესახებ, რომელნიც ხშირათ სთარგმნიან სრულიად საწინააღმდეგო სიმისა, რასაც ბრალდებულნი და მოწმენი ამბობენ. გვიამბეს ადმინისტრაციისა და სასამართლოს დამოკიდებულობის გამწვავების შესახებ. მაგალითად ბათომში პოლიცმეისტერი პა[illegible] აეშალა რაღაცაზე მსაჯულ საბუროვს. პოლიცმეისტერმა საბუროვი ბაწრით შეკრა და ისე გაგზავნა შინ. იგონებენ, რომ კავკასიაში ბრიან მოსამართლეებათ ბეითლები, გამომძიებელნი როგორც ბ. უსტინოვი იურიდიულ განათლებას მოკლებულნი, გლოვით იგონებენ პრესას, რომელიც მიიყვანეს იმ ზომამდი, რომ მას აღარ ყავს მკითხველები და ხალხსაც, რომელსაც არ აქვს პრესა, რომ მისი საშვალებით მაინც ამოიღოს უთვალავი ტანჯვა-ვაებისაგან მისუსტებული ხმა.

ამ ამბების შემდეგ თვით სინამდვილე გადაეშალა თვალწინ.

ლაგოდას განზრახვა ქონდა, თ-დ დადეშქელიანის მოკვლის საქმეში, საჯარო სამართლო ფარულათ გადაექცია. ეს განზრახვა კიდევაც მოიყვანა მან სისრულეში, და სპეციალურათ პეტერბურგიდან მოგზავნილ კორესპონდენტებს ადგილს აძლევდა რომ იუსტიციის მინისტრი ერეოდა საქმეში.

არ შევეხები არსებითად უგან. თავად დადიანის და თ-დ დადეშქელიანის საქმეს რომელსაც ცხოვრებისა თუ სასამართლოს [illegible]ში იქნებ მზგავსიც არ მოეპოვება მთელი ქვეყნის სასამართლო ქრონიკაში. ამ საქმეში თ-დ დადიანსა და კნეინა დადეშქელიანს ბრალს სდებენ, რომ ერთმანეთის სიყვარულის ნიადაგზე მოკლეს თ-დი დადეშქელიანი.

ბრალდების დასამტკიცებლათ, მაშასადამე, საჭირო [illegible] ამ მათი კავშირის დამტკიცება. პირველ ინსტანციაში ასეთი საბუთები წამოყენებული იყო. შემდეგ კი საქმეში გამოაშკარავდა ასეთი პროვოკაცია: გამომძიებელი ბ-ნი უსტინოვი და მომჩივანი ნახულობენ ერთ ქუთათურ მედუქნეს და ურჩევენ მას აჩვენოს სასამართლოში, რომ კნეინა დადეშქელიანი და თ-დი დადიანი ხშირათ ქეიფობდენ ღამღამობით მის დუქანში. როდესაც მედუქნემ ამაზე უარი გააცხადა, მას დაემუქრენ. ეს ცნობა კოლოსალური მნიშვნელობის იყო, რადგან სრულებით აბათილებდა წინასწარ გამოძიებას, თუ ამ შემთხვევაში იყო ძალდატანებით ჩვენების შედგენა, ასეთივე შემთხვევა შეიძლებოდა ყოფილიყო კიდევ ბევრი. დამცველებმა პალატას სთხოვეს ბ. უსტინოვისა და მედუქნის მოწმეთ დაბარება, იცით რა უპასუხა პალატამ?

კნეინა დადეშქელიანის მიერ თ-დ დადიანთან ერთან დუქანში ქეიფობას საქმისთვის არაფერი მნიშვნელობა არ აქვსო!

სენატში ერთი პოლიტიკური საქმე ირჩეოდა. დამცველმა აღნიშნა თფილისის სამოსამართლო პალატის მიერ აშკარა კანონის დარღვევა სასამართლოს კარების დაკეტვის შესახებ. ყველაფერი იყო ნათელი. კანონი დარღვეული იყო, განჩინება უნდა დაერღვიათ სხდომის შეჩერების დროს დამცველთან მივიდა ერთი სენატორთაგანი.

— რას ჩააცივდით, ძმაო, იმ კანონზე გადახვევას? ნუ დაივიწყებთ, რომ ეს თფილისის პალატა არის და არა სხვა რომელიმე. თუ მარტო ასეთი კანონის დარღვევით დაკმაყოფილდენ კიდევ მადლობა ღმერთს! და ცოტა ხანს შემდეგ განაგძო:

მათან ჩვენიმოთხოვნილებანი ძლიერ დაკლებულია.

დიახ, თფილისის პალატას უმაღლესი მთავრობა მოთხოვნილებებს უმცირებს, დიდს შეღავათს აძლევს. მცხოვრებნი კი? იკითხავთ თქვენ, მცხოვრებნი კიდევ უფრო უბრალოთ იქცევიან ისინი მიდიან პირდაპირ აზრაგათ.

[illegible] ბ. კობეცკის წერილი მხოლოდ მკრთალი სურათია ჩვენი სასამართლოს ცხოვრებისა ციხეები ვერ იტევენ დაპატიმრებულთ ერთის ადგილზე ოთხი და ხუთი ამწყვდევია. ათასობით ჯან-ღონით სავსე მუშაკთ ასახლებენ ადმინისტრატიული თუ სასამართლოს წესით შორეულს ჩრდილოეთში. ოჯახები უპატრონოთ რჩებიან. და გადასახლებულნი შიმშილ-სიცივეს ვერ იტანენ, ბევრი კვდება და ავათ ხდება და ბევრიც ცარცვა გლეჯას კიდებს ხელს. აბა სხვა ნაყოფი რა უნდა გამოიღოს ასეთმა სამართლის სახით პოლიტიკურმა ჩაგვრამ და შურის ძიებამ? სდუმს საზოგადოება, სდუმს პრესა. ვერავინ ამხელს თავის გაჭირვებას... ალ-ანი.

დეპეშ.

(პეტ. ტელ. სააგენტო).

ომი ბალკანეთზე.

სტამბოლი. კრების სხდომაზე დიდმა ვეზირმა გააცხადა, რომ კრებას ხონთქრის სახელობაზე ვხსნიო. რამდენიმე წევრმა მშვიდობიანობის სასარგებლოთ ილაპარაკა მხოლოდ მთავარი პროკურორი ომის მომხრეა. საერთო აზრი მშვიდობიანობის მომხრე იყო, მაგრამ ამასთანავე სურვილი გამოითქვა,—მთავრობამ თავისი ინტერესები დაიცვას.

ბელგრადი. ვენიდან მოსულმა სერბიის ელჩმა ივანოვიჩმა ერთს კორესპონდენტს უთხრა, სერბიისათვის ალბანეთის საკითხი კარგათ გადაწყდებაო. ივანოვიჩი თავის მოსვლას ბელგრადში იმით ხსნის, რომ უნდა გავეცნო, როგორი დამოკიდებულება სერბიასა და მის მოკავშირეთა შორისო. თუმცა სერბია-ავსტრიას შორის მეტად გამწვავებული მდგომარეობაო, მაგრამ ომის შიში მაინც არარისო. სერბიამ ავსტრიას ვერ მისცა განსაკუთრებული ვაჭრული და ეკონომიური კონვენციები, რადგან მისთვის რო მიეცა სხვა სახელმწიფოებიც მოთხოვდენ ასეთ კონვენციებსო.

უსკიუბი. ჰარტვიდი საავათმყოფოებისა და რუსეთის წითელი ჯვრის რაზმის დასათვალიერებლათ მოვიდა. მან ტეტოვო ინახულა, სადაც ჯარი აფრთოვანებით მიეგება.

გაზეთი „მირი“ პროტესტს აცხადებს იმ ხმების წინააღმდეგ, თითქოს ბულგარეთის ჯარები დაპყრობილ ტერიტორიაზე ოსმალებს ავიწროებდენ. გაზეთი ამბობს: ბულგარეთი თავისუფლებისა და პროგრესის სახელმწიფოა, ამიტომ ყველა სარწმუნოების მოქალაქენი თანასწორი უფლებით არიან აღჭურვილნიო ბულგარეთიდან ოსმალები ომის დროსაც კი არ გადასახლებულან. მართალია, ზოგიერთმა ქრისტიანებმა მოინდომეს თავის მოსისხლე მტრებისათვის საუკუნოების მტარვალება და წამება მცირედ გადაეხადათ, მაგრამ, როგორც კი ბულგარეთის ჯარი მოვიდა, ყველგან წესიერება დამყარდაო.

ათინა. ვენ. სპორნ[illegible]კისი დეპეშით იტყობინება: იანინში მარცხენა ფრთისკენ იერიშის მიტანა გზის [illegible]ონლობის გამო ძალიან ნელა წარმ[illegible]. მაგრამ მაინც მივსწვდით; ხუთი სწრაფლ მეყორცნელი მანქანა ერთი ზარბაზანი და რამდენიმე ტყვე წავართვით ოსმალოებს და დიდი ზარალი მივაყენეთო.

ლონდონი. პრესა ერთხმათ სიამოვნებას აცხადებს, იმისგამო, რომ ოსმალეთმა საიმედო პასუხი გასცა მოთხოვნილებას; ამიტომ მშვიდობიანობა უზრუნველყოფილათ მიაჩნიათ. ყველა გაზეთებს მოყავს ნურადუნგიანის სიტყვები ოსმალეთის სახელმწიფო მოღვაწეთა კრებაზე წარმოთქმული, რომელსაც შესაძლებელათ მიაჩნია—თუ ოსმალეთმა ჯიუტობა გამოიჩინა რუსეთიც ჩაერევა ჩვენს საქმეშიო.

ფიქრობენ სამშვიდობო კონფერენცია 14 იანვარს შეიკრებება და მრავალი საკითხების განხილვას შეუდგება. კერძოთ განიხილავს კონტრიბუციის საკითხს:

ბალკანეთის წრეებში გამოურკვევიათ, რომ ოსმალეთის დასათმობი პროვინციების 800 მილ. გირვანქა ვალი ქონია ამ თანხის ნახევარს მოკავშირენი თავისთავზე გადასახდელათ და მეორე ნახევარს კი დაუთმობენ, როგორც საომარ საჩუქარს.

სამშვიდობო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას თვეზე უფრო ადრე არ ელიან. ბალკანეთის დელეგატები თავისი ტერიტორიის საზღვრეჯის აღსანიშნავათ ლონდონში დარჩებიან.

შავმთიელი დელეგატები აცხადებენ: სკუტარის შეტანა შავმთიელთა ტერიტორიაში იმდენათ არსებით საკითხათ მიგვაჩნია, რომ ამის გულისთვის მზათავარ ომიც დავიწყოთო.

სტამბოლი. ტალატ-ბეი შინაგან სამინისტროს მართველათ დანიშნეს და ეზეტ-ფაშა სამხედრო სამინისტროსი.

ტა[illegible]ატა-ბეიმ რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტს გაუცხადა: ახლანდელი მოძრაობა იმას ნიშნავს, რო ჩვენ გადავწყვიტეთ—ჩვენი ეროვნული პატიოსნება გადავარჩინოთ, ან და სულ დავიღუპოთ. ჩვენ ომის გაგძელება არ გვინდა, მაგრამ მტკიცათ გვინდა ადრიანპოლის დაცვა.

ყოფილ დიდი ვეზირი ჰაფთი-ფაშა გარეშე საქმეთა მინისტრათ დანიშნეს და ენკერ ბეი ქალაქის კომენდატათ.

საზღვარგარეთი.

პარიზი. მთავრობის დეკლარაციაში გამოთქმული იქნება მთავრობის განზრახვა. რომ ჩქარა გატარდეს საერო სამსახურის წესდება, საარჩევნო რეფორმა და აგრეთვე განაგძონ შემუშავება იმ სოციალური რეფორმებისა, რომელიც წინანდელმა კაბინეტმა წამოაყენეს. ამ მუშაობაში რესპუბლიკელთა უმრავლესობას ჩაითრევენო.

მეცი. ლორენის პრეზიდენტის განკარგულებით სუვენირის, ალზასვენის, და ლორენის კავშირები დახურეს რადგანაც გერმანიიდან უკანასკნელი პროვინციის მცხოვრებთა ჩამოშორება მოინდომეს.

რ უ ს ე თ ი.

ბოდაბო. ლენის ამხანაგობის მაიდანში ცეცხლისგან 3 მუშა დაიღუპა, რომელნიც ღამით ოქროს გასატაცებლათ შესულიყვენ.

ოდიში.

ზუგდიდელთა საყურადღებოთ.

ათი დღე ზუგდიდში ვიყავი. ძალიან ხშირათ შევდიოდი ხოლმე „აკაკი“-ს სამკითხველოში. თუმცა სამკითხველო ჯერ ახალი დაარსებულია, მაგრამ მაინც საკმარისათ ასრულებს თავის მოვალეობას: ჟურნალ-გაზეთები, სხვადასხვა ქართულ-რუსული წიგნები, კოხტა შენობა, მყუდროება, სისუფთავე, თან შრომის მოყვარე და მშვენივრათ საქმის მცოდნე მეთვალყურე—აი, სამკაული ამ სამკითხველოსი.

როგორ ეტანება ამ სამკითხველოს ხალხი? ოთხი-ხუთი სადღესასწაულოთ ჩამოსული მოწაფის მეტი იქ არავინ მინახავს.

სამკითხველოდან გამოსულს, ბინაზე მისვლამდი, უნდა გამევლო დაბის უმთავრესი ქუჩა, სადაც ჩამწკრივებულია „კოფეინია-ბილიარდნები“. აქ ყველაფერი ურიგოთ არის. ზნეობრივი დაცემა, ლოთძლევა-გინება, ამყრალებული პური—აი, სამკაული ამ დაწესებულებათა. როგორ ეტანება ამ დაწესებულებებს ხალხი? მაღალი წოდების წარმომადგენელნი, ოჯახის უფროსნი, სხვადასხვა სამსახურის პირნი—თითქმის ყველა აქ ბძანდება. უკანასკნელ გროშს აქ სტოვებენ და ნაშვადაძევს ჯიბე ცარიელნი შინ მიემგზავრებიან.

ღაფასება ყოველი ამისი თვით ზუგდიდელებისთვის მიმინდვია. ვიტყვი მხოლოდ პატივცემულ აქიმ მუჯირს და ოთხ-ხუთ მის თანამოაზრეს არ ძალუძს სამკითხველო შეინახონ, თუ დანარჩენი ინტელიგენციაც არ მიეშველება და ასეთ ძვირფას განძს ზუგდიდი მალე გამოეთხოვება.

როგორ დასაღონებელი არაა ის გარემოება, რომ წერა-კითხვის მცოდნე ადამიანი „ყავახანაში“ მთელი დღე იჯდეს ® გაზეთის კითხვას კი ერთი საათიც არ დაუთმოს, რომ ცოტათი მაინც თვალი გაახილოს და გადახედოს ცხოვრებას!—ეს ხო ზნეობრივი დაცემის გამომხატველია. ინტელიგენტმა ბანქოს თამაშში მანეთები წააგოს და თავის დაბაში ერთად-ერთ ეროვნული დაწესებულებას-კი თვეში ერთი აბაზიც არ შესწიროს?! რაღა გვეთქმის... გ. ა-ნი.

ფოთი.

ყოველი ქართველის ზნეობრივი მოვალეობაა, თეატრის დაარსებას ხელი შეუწყოს, რომ ამით ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლის ერთ ფაქტორს მკვიდრი საძირკველი ჩაეყაროს.

ფოთში რომ ქართული თეატრი არ არის, ეს უდიდესი დანაშაულია. აქ მცხოვრებთა 90o/o ქართველობა, კაი ხანია საჭიროებს სულიერ საზდოს მიწოდებას მისთვის გასაგებ ენაზე და ადგილობრივმა ინტელიგენციამ უნარი ვერ გამოიჩინა, რომ როგორმე დაეგვირგვინებია თეატრის აშენების საქმე. ფოთელებს შკოლების დაარსების საქმეში ვერ დავემდურებით, მხოლოდ აქამდი რომ ისეთი ეროვნული დაწესებულება ვერ დაუარსებიათ, რომელიც ხალხს შკოლის მაგვარ სამსახურს უწევს—ეს პირდაპირ ცოდვათ ჩაეთვლება. ახლა პატარა დაბებშიც აგებენ თეატრის შენობები და ფოთს ხომ თავი ქალაქათ მოაქვს.

მართალია' დღეს ჩვენი ქალაქი ეკონომიურათ ძლიერ დაქვეითებულია, თვითმართველობის საქმეები მეტათ აწეწილ-დაწეწილია, ძაღლი თავის პატრონს ვეღარ სცნობს; და ამიტომ ბევრი თავს იმართლებს, რომ არსებულ პირობებში თეატრის შენობის აგება მის ძალღონეს აღემატება, მაგრამ ასეთი თავის მართლება მოსატანი არაა ამ დიდ საქმეში. ადგილობრივ ინტელიგენციას ზნეობრივ მოვალეობათ უნდა მიაჩნდეს ისეთ კულტურული დაწესებულების დაარსება, რომელსაც ეროვნული მნიშვნელობა აქვს? ცთა შეუწყნარებელი იქნებოდა. აუცილებლათ უნდა შედგეს თეატრის დამაარსებელთა ჯგუფი, წრე, რომელიც შეიმუშავებს თეატრის შენობის პროექტს და გამონახავს შენობის ასაგებ საშვალებას.

საქმის ენერგია და სიყვარული თავისას გაიტანს. საჭიროა, ფოთის ინტელიგენტები ერთსულოვნათ შეერთდენ, ყოველი პირადი ანგარიშები უარყონ და საქმეს შეუდგენ. თეატრის შენობა ქვაკუთხედათ დაედება ფოთის საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას. უდ—ლი.

მოგვაქციეთ ყურადღება!

ჩვენი სოფელი, სახელწოდებით ქვაბლდა, სძევს აჭარა-გურიის მთების განაპირათ, რომელსაც ოთხივე მხარეს შემორტყმული აქვს მთები. სივრცით ჩვენი სოფელი 3 ოთხკუთხი ვერსი ძლივს იქნება, აქ ვსახლობთ 30 კომლი მხნელ-მთესველნი. ჩვენს უმთავრეს ცხოვრების წყაროს შეადგენს მიწის მოსავალი, სიმიდი და ღომი; მოგვყავს აგრეთვე თუთუნი, მაგრამ ამ უკანასკნელს, რიგიანი ბაზრის უქონლობის გამო, თავის დროზე ვერ ვყიდით და ხშირათ თითო წლობით ვინახავთ, რის გამო შენახული თუთუნი პირვანდელ ხარისხს კარგავს და ძლიერ პატარა ფასში იყიდება. მაგალითად, შარშანდელი თუთუნი ჯერაც გაუყიდველი გვაქვს. საყანე მიწებს შეადგენს ახლათ გაჩეხილი ტყეები, საშიშარ და ძნელათ მისადგომ კლდეებზე. საშინელ მიწის სივიწროვეს განვიცთით, რის გამო მთელი წლის სარჩო ვერ მოგვყავს. მოკლებული ვართ ყოველგვარ შემოსავალს და წერა-კითხვის ცოდნას. უგზოობის გამო მოწყვეტილი ვართ სხვა განათლებულ სოფლებზე. თორმეტი ვერსი გზა, რომელიც უერთდება დ. ჩოხატაურის აგეწოდებულ საგოგრე გზას, წარმოადგენს კლდეებზე გაყვანილ საცხენოსნო ბილიკებს, რომლითაც გვიხთება დამოკიდებულება სხვა სოფლებთან და დაბებთან. ჩვენ, ქვაბლის მცხოვრებნი, სახნავ-სათესი მიწის უქონლობის გამო სხვადასხვა დროს ვართ ჩამოსახლებულნი ამ სოფელში, რომელიც ამ ათი წლის წინათ წარმოადგენდა ხშირ ტყეს, მხეცების სამყაროს. ეს ტყე ეკუთვნოდა ერისთავ-ბერიძეებს, რომელნიც მიწის ერთ ნაწილს მუქთად აძლევდენ მას, ვინც გაჩეხდა საყანეთ. ამრიგათ მხეცების სამყარო დავიპყარით ადამიანებმა. აქიდან ჭირნახულის გატანა შეუძლებელი იყო იმ დროს უგზოობის გამო, ისე კი ცხოვრება გვეძნელებოდა. გადავწყვიტეთ ლუკმა პურის გულისთვის წინანდელი სახლ-კარის დატოვება (გაყიდვა) და სამაგიეროს აქ გაკეთება. როგორც იქნა თითო თავშესაფარი ქოხი ყველამ გავიჩინეთ. გადიოდა წლები და ჩვენც ახალ საცხოვრებელს ვაუმჯობესებდით, ველურ ბუნებას შეძლებისადაგვარათ ვიმორჩილებდით. პირველ ხანებში მთის ჰავამ ვერ აგვიტანა და სიკვდილმა ბევრი სხვერპლი შეიწირა. სიკვდილის სიხშირე, ეკლესიის სიშორე ზღიდა უკანასკნელის მოთხოვნილებას, რადგან შეუძლებელი გახდა მკვდრების დასამარხავათ 8 ვერსი ჯოჯოხეთური გზის გავლა და მაშინაც სასაფლაო ფულით უნდა გვეყიდა. ამ დროს აქ ვესახლეთ 10 კომლი. მეტი გზა აღარ იყო, საჯვარე ეკლესია უნდა აგვეგო. დავირეკეთ ღარიბი ჯიბეები და დიდის ვაი-ვაგლახით გავაკეთეთ ხის ეკლესია, რომელიც (ჩვენს შრომას გარდა) დაგვიჯდა 300 მანეთად, ეს იყო 1900 წელს. მცხოვრებლების რიცხვი თანდათან მატულობდა, რაც ჩვენ, რასაკვირველია გვამხნევებდა.

თუმცა ეკლესია როგორც იყო გავაკეთეთ, მაგრამ საკუთარი შკოლის უქონლობა ძლიერ გვაბრკოლებდა.

ჩვენს ბავშებს 8 ვერსი გზა უნდა ევლოთ წერა-კითხვის სასწავლათ, რაც რაღა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო. საკუთარი შკოლის დაარსება, მასწავლებლის დაქირავება ჩვენ არ შეგვეძლო და ვერც ვბედავდით ამის შესახებ კითხვის წამოყენებას. 1908 წელს ჩვენი საჯვარე ეკლესიის ღვდელმა ლუკა მამალაძემ გვირჩია შკოლის გახსნა და მასწავლებლობასაც ის კისრულობდა. ჩვენ არ გვქონდა იმედი, რომ როდესმე ჩვენს შკოლას დამტკიცება ეღირსებოდა და ძალიან გვაშინებდა მასწავლებლის ჯამაგირის გადახდა, მაგრამ ღვდლის განზრახვას წინ აღარ აღვუდექით, დავიქირავეთ შკოლისათვის შენობა, ჩვენი ხელით გავაკეთეთ ბავშების სკამები და დაიწყო მაცადინეობა. ოთხი წლის განმავლობაში იმსახურა პატიოსანმა ღვდელმა ჩვენს შკოლაში, სულ უმნიშვნელო სასყიდლით, (წლიურათ ას მანეთად), მაგრამ ამ უმნიშვნელოს გადახდაც გვიძნელდებოდა უსახსრო ხალხს.

გასულ წელს, როცა ყოვლად სამღვდელო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზი ლეონიდე გურიაში ჩამობძანდა, ჩვენი თხოვნით ინახულა ჩვენი შკოლა და ეკლესიაც*). ყოვლად სამღვდელო შეგვპირდა შკოლის დამტკიცებასა და ხაზინის ჯამაგირით მასწავლებლის დანიშვ-

---

*) ამ დროს გვქონდა ჩვენ შკოლის შენობა, საკუთარ მიწაზე. ღირებული 400 მანეთად.

ჭურჭლეულობისა და ავეჯეულობის მაღაზია ქ. ქუთაისში

ფ. ს. ფილიპოვისა

ყოველთვის მოიპოვება დიდძალი რჩეული: ფაი რისა და ფაიანსის ჭურჭლეული: საუცხოვო გა ლისა და მინის საქონელი, საუკეთესო ლამ ვარშავიდან და საზღვარგარეთიდან, აგრეთვე ემალ გამოვლებული ჭურჭლეული თეთრი ალ მანის, ალპაკა და სპილენძის ქვაბები, ყავადნები და სხვა სამზარეულო ჭურჭელი. სამოვრები, ნავთის სამზარეულოები და ყოველივე საოჯახო ნივთი. ვერცხლარევი და ბრინჯაოთი ნაკეთები საქონელი. მოხრილი სუფრის ყოველგვარი და და ბამბუკის ავეჯეულობა, ვარშავისა და ინგლისისა ქარხნებიდან ლოგინები. კედლისა და საპირფარეშო სარკეები. სასუფრე კლიონკები და იატაკზე საფენი ლინოლეუმი, ღვარგარეთის და რუსეთის გიტარები, მანდალინები, ბალაიკები, პატე—გრამაფონები და მათი ფირფიტები, პიანინები და ყოველგვარი საარგანო შემკობილება. ელექტრონული ლამპები და ყოველგვარი მო ყობილი, ორთქლით მრეცხავი მანქანები და საეკლესიო მოწყობილება, დიდძალი რჩეული შპალერი თოფი 8 კაპიკიდან ვიდრე მანეთ-ნახევრამდი. საუკეთესო ქარხნის მბეჭდავი მანქანის წარმომადგენლობა თაისის გუბერნიისა და ბათომის ოლქში მეკუთვნის მხოლოდ მე. ფასები მეტათ დაკლებულია.

მიღებულია

ცნობილი აბრეშუმის თესლი

ხ. ხრისტადულიდის

ერთერთი წარმომადგენელი მთელ ამიერ კავკასიისა სავაჭრო სახლი

ი. გოგიელოვის ძმ-ბი

ქუთაისში

9

ნას. მართლაც ამავე სამოსწავლო წელს მოგვივიდა ხაზინის ჯამაგირით მასწავლებელი. ყველამ თავისუფლათ ამოვისუნთქეთ, ველირსეთ საკუთარ შკოლას, სადაც ჩვენი ბავშები უფასოთ შეიძენდენ წერა-კითხვის ცოდნას. თუმცა მასწავლებლის მოსვლით ახალი საზრუნავი გაგვიჩნდა—მისთვის ბინის გაკეთება, მაგრამ ჩვენ ამას აღარ ვჩივით და უკანასკნელ გროშს გავიღებთ მასწავლებლისთვის რიგიანი ბინის გასაკეთებლათ რომლის კეთებას უკვე შევუდექით და რომელიც გვიჯდება 129 მანეთად და 4 აბაზათ.

ამრიგათ, დღეს ჩვენ გვაქვს საკუთარი ფულით აგებული ერთკლასიანი სამრევლო შკოლა და საჯვარე ეკლესია, მაგრამ უკანასკნელით ჩვენ ვერ ვსარგებლობთ, ვინაიდან არ მოგვეპოვება ეკლესიისთვის აუცილებელი ნივთები: ზარა (გვაქვს გატეხილი ზარა) და საეკლესიო წიგნები სულითა და გულით გვსურს ტანჯვით, მეტისმეტ სიღარიბეში აგებულ ეკლესიაში თვეში ერთხელ მაინც ვისმენდეთ წირვა-ლოცვას, მაგრამ ზემოთ ხსენებული ნივთების უქონლობის გამო, არამც თუ თვეში, წელიწადში ერთხელაც ვერ ვისმენთ. ჩვენი შკოლის მასწავლებელმა შეადგინა ბავშებისაგან მგალობელთა გუნდი, მაგრამ, სამწუხაროთ ჩვენდა, მათ გალობას ჩვენს ეკლესიაში ვერ ვისმენთ. ათასნაირი გადასახადებით სული გვეხუთება: გასული წლის მოუსვლელობამ დიდათ დაგვაზარალა და დაგვავალიანა. არ დარჩენილა არცერთი ჩვენგანი, რომ 30 მანეთის, ზოგს მეტის, სიმიდი არ ეყიდოს. მევალეები და „სბორშჩიკები" ჩვენი ხშირი სტუმრები არიან.

ვალები, სახელმწიფო გადასახადები, შკოლის ხარჯები, დრამა, აგარაკ ბახმაროს გზების გასაკეთებელი, ჩოხატაურის საავათმყოფოს ფულები, ერთსა და იმავე დროს გვიწევს გადასახდელათ, მაგრამ როგორ, რით გადავიხადოთ, როცა ფული ვერ გვიშოვია?! სასოწარკვეთილებას ვეძლევით, ვერ მიგვიგნია წყაროსთვის, რომლითაც შეგვეძლოს ხსენებული მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ამავე დროს საშინლათ გვაწუხებს ჩვენი ეკლესიის საკითხი.

ყოველივე ზემოთქმულს შემდეგ, მოგმართავთ თხოვნა-ვედრებით ყველა უსახსრო ხალხის გულშემატკივართ, მის წმინდა მისწრაფების თანამგრძნობთ, რათა შეხვიდეთ ჩვენს შევიწროებულ მდგომარეობაში და შემოსწიროთ ჩვენს ეკლესიას, ზარა (პატარა) და საეკლესიო წიგნები და მით შეძლება მოგვცეთ, აჭარა-გურიის მთების კალთებს ქვეშ თავშეფარებულთ წირვა-ლოცვა მოვისმინოთ, რითაც შემომწირველნი უკვდავყოფენ თავის სახელს ჩვენსა და ჩვენს მომავალთა ხსოვნაში.

ქვაბღის მცხოვრებნი.

(ხელს აწერს 30 კაცი).

წერილები რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო იმ პირთ, რომელთაც შემწეობა აღმოუჩინეს საჭილაოს ბიბლიოთეკა-სამკითხველოს. აი მათი სია: ალექსანდრე მალაქიასძე ასათიანი—5 მან., ღვდ. კონსტანტინე ქაკობია—3 მ., ღვდ. ეპიფანე გაგუა—3 მან., თამარ სოლომ. კორძაიას ასული—25 ცალი წიგნი, ვასილ კორძაია—15 ცალი „ბათომის გაზეთის" ნომრებისა და ერთი წიგნი, ბესარიონ დუნდუამ—3 ც. წიგნი, ივანე თელია—2 ც. წიგნი, ალექსანდრე ფალავა—2 ც. წიგნი, ილია ბახვ. გოთომშია—1ც. წიგნი, თეოფანე ნინუა—1 ც. წიგნი, ივანე კომახიძე—2ც. წიგნი, ოლ. ჯლამაძე—2 ც. წიგნი, ტრიფონ კორძაია—4 ც. წიგნი, იოსე კომახიძე—კედლის კალენდარი.

საჭილაოს სამკითხველოს გამგე—

ქ. თოფურიძე

რედაქტორ გამომცემელი

გ. ე. ჭელიძე

ქ. ქუთაისში

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

საბუღალტერო კურსები

გ. გ. გიგინეიშვილისა.

იანვრიდან იხსნება კურსებზე მეორე განყოფილება. მსმენელები მიიღებიან ოთხი კლასის მოწმობით (გიმნაზია, საქალაქო თუ სასულიერო სასწავლებელი). კურსი ათი თვისაა. სწავლის ფული ასი მან.

თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში (თფილისის ქუჩა).

სამეცნიერო პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი

„განათლება"

მიიღება ხელისმოწერა 1913 წლისათვის.

(წელიწადი მეექვსე).

1913 წელში ჟურნალი „განათლება" ჩვეულებრივათ გამოვა ყოველ თვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორი თვისა. ჟურნალში იბეჭდება წერილები, როგორც სწავლა-აღზრდის შესახებ, აგრეთვე მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან და სიტყვაკაზმული მწერლობიდან; აქვს თვიური ჟურნალის ყველა განყოფილება, გამოვა ჩვეულებრივზე უკეთ დასურათებული. ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, მწერლები. პედაგოგები და პოეტები.

იანვრიდან ჟურნალში იქნება ცალკე განყოფილება, სადაც დაიბეჭდება ყოველგვარი ცნობები ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და მისი განყოფილებათა მოქმედების შესახებ.

წლიური ფასი: **ოთხი მანეთი** (4 მ.) მხოლოდ სოფლის მასწავლებლებსა და სასოფლო სამკითხველოებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურათ **სამ მანეთად**, საზღვარგარეთ 6 მანეთად. ვინც წლიურ ფასს ჟურნალისას იანვრის ბოლომდი გადიხდის, საჩუქრათ მიიღებს განსვენებულის იაკობ გოგებაშვილის მოზრდილ სურათს.

ხელისმოწერა მიიღება თფილისში: ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის" რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ივანე ავალიშვილთან. ქუთაისში ისიდორე კვიცარიძესთან, ბათომში წიგნის მაღაზია „განთიადი", ამ ორ ადგილას იყიდება ცალკე ნომრებიც, თითო 2 აბაზი

რედაქცია სთხოვს ხელისმომწერლებს დროზე დაჰკვეთონ ჟურნალი.

მისამართი: Тифлисъ. Дворянская Грузинская Гимназія **Л. Г. Боцвадзе.**

რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე.

ПРИНИМАЕТСЯ ПОДПИСКА

на Еженедѣльный Общественно-Юридическій журналъ

„ЗАКОНЪ и ЖИЗНЬ."

Журналъ „ЗАКОНЪ и ЖИЗНЬ" будетъ выходить по слѣдующей программѣ: статьи юридическаго и общественнаго содержанія, фельетонъ, судебное обозрѣніе, хроника, заграничная жизнь, Государственная Дума и Государственный Совѣтъ, литературное обозрніе, информаціонный отдѣлъ, торгово-промышленная неделя почтовый ящикъ.

Особое вниманіе редакція журнала „ЗАКОНЪ и ЖИЗНЬ" обратитъ на постоновку безплатныхъ отвѣтовъ на юридическіе вопросы подписчиковъ.

Въ журналъ „ЗАКОНЪ и ЖИЗНЬ" принимаютъ участіе слѣдующія лица.

Б. Г. Бартъ, А. В. Бобрищевъ-Пушкинъ, Л. М. Брамсонъ, Л. Н. Бровковичъ, С. А. Бѣляцкинъ, Ф. А. Волькенштейнъ, В. Гейманъ, И. Гурвичъ, А. А. Захарьинъ, Т. О. Зейлигеръ, прив.-доц. М. М. Исаевъ, Н. П. Карабчевскій. Членъ Государств. Думы А. Ф. Керенскій, О. Я. Кобецкій, давидъ Койгенъ, Е. М. Кулишеръ, Г. В. Ланге, В. Н. Новиковъ, Н. Е. Озерецковскій, Стол. Мир. Судья Н. А. Окуневъ, О. М. Сигалъ, Б. С. Утевскій, С. С. Утевскій, М. I. Эттингеръ.

При журналѣ открытъ постоянный отдѣлъ „На Кавказѣ" при ближайшемъ содрудничество А. Р. Церетели.

ПОДПИСНАЯ ПЛАТА: за годъ 5 руб., за 6 мѣс. 2 руб. 50 коп., за 3 мѣс. 1 руб. 50 коп. и за 1 мѣс. 50 к.

Годовые подписчики желающіе получать рѣшенія Кассаціонныхъ Департаментовъ Правительствующ. Сената и Общ. Собр. доплачиваютъ 1 р. въ годъ. Въ качествѣ безплатнаго приложенія подписчики будутъ получать о текущихъ судебныхъ процессахъ.

Адресъ редакціи и главной конторы: С.-Петербургъ, 3 рождественская, 24.

Телеф. №№ 125-89 и 58-64.

Изд. Б. и С. Утевскіе. *Ред. Г. В. Ланге.*

КНИГИ изд. С. А. КОЗЛОВСКАГО для самообученія: Рѣш. и подробн. объясн. 2—10-ю спос. всѣхъ ариф., алгеб., геомет. и триг. зад. сборниковъ: 1) Верещагина; 2) Малинина и Бур., 3) Гольденберга; 4) Евтушевскаго ч. ч. I и II; 5) Арбузова и Ко; 6) Шапошникова и Вальцова; 7) Киселева; 8) Сорокина; 9) Рыбкина; 10) Кліоновскаго; 11) Минина; 12) Вулиха 13) Давидова; 14) Бычкова; 15) Стеблова; 16) Злотчанскаго; 17) Воинова и др. Скидка 20% при Вашей перес. Подроб. объявл. съ образц. рѣш. зад. высылаю безплатно. Выписывать исключ. по адресу: **Бѣлая-церковь** Кіев. губ., **С. А. КОЗЛОВСКОМУ.**

გ. მორდამის და ს. წერეთლის

რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:

საუკეთესო

ქარხნებისაგან

მიღებული რკინეული

საქონელი: კარის, ფანჯრის

და ღუმელის მოწყობილობანი;

სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის

მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი,

ელექტრონის ზარის მოწყობილობანი, შპალიერი,

ცემენტი, ემალიანი ჭურჭლები, ასფალტი, და სხ.

ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმოსაწდომ ფასათ.

ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხაელის ქუჩაზე № 65.

რა საჭიროა—სოფელში აშენოთ ქურა (პლიტა), სადაც ოს ტიც და მასალაც ძნელი საშოვარია, უმჯობესია მიმართოთ

ძმ. ე. და პ. სააკაშვილების

სავაჭროს, ქუთაისში.

(შუშკინის ქუჩა საკუთარი სახლი).

იყიდება ქურა (პლიტა), თუჯის ორი „კომფორ „დუხოვკით", სადაც შეიძლება ჭადის გამოცხობაც. გირჩევთ ჩქარებით იყიდოთ, თვარა მოთხოვნილება ბევრია და ფეჩები ლიან ცოტა არის მოსული.

ვაჭრობასა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

საკომერციო ცოდნათა კურსები

ტ. მ. ფილოიანისა, თფილისში

მიხეილის პროსპექტი, სახლი № 24—4, ტელ. 976.

სპეციალური საკომერციო განათლება ვაჟებისა და ქალებისათვის. კურსის თავრებას შემდეგ მოწაფეებს ეძლევათ ატესტატი.

პრაკტიკული მეცადინეობა ისეა მოწყობილი, როგორც Pitman-ის სასწავლე ლონდონში) და Pigi-ის (პარიზში) Muster comtoir-ში მასალები რეალური რებიდან აიღება:

საგნები: ა) სავალდებ: 1) ბუღალტერია (უბრალო. იტალიური, გერმანული, რიგული, საბანკო და საფაბრიკო-საქარხნო; 2) კომერციული არითმეტიკა. 3) პოლი რი ეკონომია. 4) კანონები (სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება). 5) კომერციული კორესპონდენცია. 6) არითმეტიკა ჩოთქზე. 7) კალიგრაფია, სწორა, ხელის გასწორება. სავალდებულო: 1. უცხო ენები. 2) სტენოგრაფია. 3) დაკტილოგრაფია (რემინგტ სხვადასხვა) და 4) კომერციული კორესპონდენცია უცხო ენებზე.

ლექტორებათ კურსებზე არიან უმაღლეს სატეხნიკო სწავლა მიღებულნი, გავხსენით სპეციალური თა განყოფილება კურსებისა და უმაღლეს სწავლა მიღებულთათვის. მეცადინეობა შეიძლება თითოეულათაც. თხოვნები მიიღება 10—2 ს. დილით და 4—7 საღამ. მეცადინეობა უება 15 იანვრიდან. პროგრამები და წესები მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველებს უფასოთ ზის სადგომიდან. კურსები კარგ მოწაფეთათვის მეცადინეობს სავაჭრო სახლებში ალაგის მიმდინარე წელს სულ 228 მსმენელი იყო, ამათში 42 ქალი; რადგანაც მსურველი ბევრია, სებთან გავხსენით მეორე კლასის პარალელური განყოფილება, რომელიც ძლიერ ხელსაყრელია გარეთ მცხოვრებთათვის.

მიიღება ხელისმოწერა

ყოველკვირეულ საზოგადო-ეკონომიურსა და სალიტერატურო ჟურ

„კლდე"-ზე.

1913 წლის იანვრიდან ჟურნალი უფრო ფართო პროგრამით გამოიცემა, ჩაერ ილიუსტრაციები, კარიკატურები და სხ., მოწვეულ არიან ახალი თანამშრომ როგორც ადგილობრივი, ისე რუსეთისა და საზღვარ გარეთიდან. ფასის გ შეიძლება ნაწილ-ნაწილათაც: 3 მან. და 2 მან. 1 წ. 5 მ., 6 თ. 2 მ. 15 შ., 3 თ. მ. 1

საზღვარ გარეთ ყველა ფასებს ემატებათ თვეში 5 შაური გადასაგზავნი.

სოფლის მასწავლებელთ, სამკითხველოებს და კოოპერატიულ დაწესებულებათ: 1 4 მ., 6 თ. 2 მ. 10 შ., 3 თ. 1 მ., 1 თ. 2 აბაზი, ცალკე № ორ შაური

განცხადების ფასი კანტორასთან შეთანხმებით.

მისამართი: თფილისი Габаевскій пер. № 3.

ელექტრო-საბეჭდავი შერაძისა და ძარნაუხოვის, ქუთაისში.